



ევროკავშირის სტრატეგია
საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან
თანამშრომლობისთვის

2014 – 2017 წწ.

დამტკიცებულია ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა
და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოების მიერ

დამტკიცების თარიღი: 2014 წლის 21 ივლისი

1. სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის აღწერა

1.1 ხელშემწყობი გარემო

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ხელსაყრელ სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში განაგრძობს საქმიანობას. ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაცია მარტივი და ზედმეტი ბიუროკრატიული მექანიზმებისგან თავისუფალია. სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარი ორგანიზაციები საქმიანობენ ხელისუფლების, მათ შორის საგადასახადო სამსახურების ზეწოლისა და დაშინების გარეშე, მიუხედავად მათი საქმიანობის სფეროსა თუ გამოთქმული მოსაზრებებისა.¹ სამოქალაქო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებისთვის დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების შექმნის თვალსაზრისით 2012–2013 წლებში განსაკუთრებული წინსვლა აღინიშნა. 2012 წელს კანონმდებლობაში შევიდა შესწორება, რომლითაც სამთავრობო სტრუქტურებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის გრანტების გაცემის შესაძლებლობა მიეცა. იუსტიციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებმა განსაკუთრებული აქტიურობით გამოიყენეს ეს ახალი შესაძლებლობები; შესაძლებლობებით წარმატებით ისარგებლა ასევე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა განათლებაზე ზრუნვის პროცესში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უკვე ხუთ წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს სოციალური მომსახურების მიმწოდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადებისა. მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ ამ შესაძლებლობებით სარგებლობა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც შეძლოს. ფაქტია, რომ მიუხედავად ახალი შესაძლებლობებისა ჯერ კიდევ ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იკავებს თავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღებისგან იმის შიშით, რომ ეს საფრთხეს შეუქმნის მათ დამოუკიდებლობას და დააზარალებს მათი, როგორც დამოუკიდებელი ორგანოების რეპუტაციას საზოგადოების თვალში. ზემოთქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორგანიზაციების შერჩევასა და მათთვის გრანტების მინიჭების გამჭვირვალე მექანიზმს. 2013 წელს საგადასახადო კოდექსში შესწორებების შეტანის შემდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა და შესაძლებელი გახდა მათთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება იმ შემთხვევაში, თუკი შენატანებს ნატურით შეიტანენ.

მოხალისეობის შესახებ კანონიპარლამენტში შეტანილია. კანონი ითვალისწინებს მოხალისეებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას, არეგულირებს შრომით ურთიერთობებს მოხალისეებსა და მათ მიმღებ/მასპინძელ ორგანიზაციებს შორის, განსაზღვრავს დამსაქმებლის პასუხისმგებლობასა და მოვალეობებს და გადასახადისგან თავისუფლებს დამსაქმებელის მოხალისეებზე გაწეულ – მაგალითად, სატრანსპორტო და საცხოვრებელ– ხარჯებს. ჯერ კიდევ დასადგენია, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ეს კანონი საქართველოს მოქალაქეებში მოხალისეობის განვითარებას.

2012–2014 წლებში მომზადდა და მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. მიუხედავად იმისა, რომ დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ძალაუფლების გადაცემის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა, კოდექსის დღევანდელი რედაქციით რეგონებსა და მუნიციპალიტეტებისთვის კომპეტენციების სრულად გადაცემავერ ხერხდება. დეცენტრალიზაციის მიმართულებით– მათ

¹ ხელისუფლებამ ვერ შექმნა მტკიცე გარანტიები LGBT პირთა ორგანიზაციების შეკრების თავისუფლების უზრუნველსაყოფად. 2013 წლის 17 მაისის ძალის მიერ შეტაკებები დროს სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეძლეს მოქალაქეთა ამ ჯგუფისთვის შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლების უზრუნველყოფა, რამაც გავლენა იქონია აქტივისტებზე და შეზღუდა მათი შესაძლებლობა, საჯაროდ მოეხდინათ LGBT პირების უფლებების მეტი ადვოკატირება.

შორის ფინანსურის– შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯების განხილვა 2015 წელსაა დაგეგმილი. კოდექსით გათვალისწინებულია ადგილებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი ფორმების მოძიება. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა პარლამენტს შესთავაზეს 2014 წლის ბოლომდე ამ საკითხზე კანონპროექტის მომზადება, რაც პარლამენტმა გაიზიარა.

მედიაშიშექმნილი უკეთესი გარემო სამოქალაქო საზოგადოებაზედადებითგავლენას ახდენს, რადგან სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარ ორგანიზაციებს მათი საქმიანობისა და წამოჭრილი საკითხების უკეთ გაშუქების შესაძლებლობა ეძლევათ. 2012 წლის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე წარმატებული ადვოკატირების კამპანია, რომელიც ადგილობრივ მედიაში კარგად გაშუქდა და საგრძნობლად გაზარდა როგორც მონაწილე, ისე ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარი ორგანიზაციების პოპულარობა. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოება კვლავაც უჩივის ჟურნალისტებში გავრცელებული ტენდენციას, გააშუქონ სენსაციური და პოლიტიკური თემები და ნაკლები ყურადღება დაუთმონ იმ საკითხებს, რომელთა წარმოჩენასთაც სამოქალაქო საზოგადოება ცდილობს.

2014 წლის დასაწყისში მთავრობამ მიიღო 2014–2020 წლებისთვის განსაზღვრული ადამიანის უფლებების სტრატეგია. დეკლარირებული ვალდებულებების თვალსაზრისით ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. სტრატეგია სამოქალაქო საზოგადოებას ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში მონაწილეობის არა–ერთ შესაძლებლობას აძლევს. დოკუმენტში ასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელება შესაძლებელი გახდება ევროკავშირის „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტის“, ასევე ორმხრივი დახმარების მექანიზმიდან გამოყოფილი დაფინანსების საფუძველზე.² თუკი ზოგად სურათს შევხედავთ, დავინახავთ, რომ არის ფუნდამენტური საკითხები, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული წინამდებარე სტრატეგიასთან, მაგალითად მოქალაქეების უფლებების და მათი დაცვის საკითხში განათლება. ასევე ადამიანის უფლებებზე დამყარებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს დაინტერესებული პირების აქტიურ მონაწილეობას ისეთიგადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც უშუალოდ მათ შეეხება.³ ამ საკითხების მოუგვარებლობაწუხილის საგანია, რადგან მათ ფუნდამენტური როლი ეკისრებათ წინამდებარე სტრატეგიაში განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულებაში. სტრატეგია დიდ ყურადღებას უთმობს მოქალაქეების იმ პროცესებში ჩართვის უნარის გაზრდას, რომელიც უშუალოდ მოქალაქეებსდა მათ ცხოვრებას შეეხება და ხაზს უსვამს სახელმწიფო ინსტიტუტების ვალდებულებას, შექმნან მოქალაქეთა ამგვარი ჩართულობის შესაძლებლობები.

მიუხედავად ამ ზოგადად დადებითი სურათისა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შემდგარი ორგანიზაციების მდგრადობა საქართველოში ძალზე დაბალია. აშშ–ს განვითარების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ყოველწლიური ინდექსის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ბოლო სამი წლის განმავლობაში უცვლელად იმყოფება მდგრადობის კატეგორიაში, რომელიც „წრეზე ბრუნავს“, დადებითი თუ უარყოფითი

² ღონისძიებების პაკეტი სახელწოდებით „ადამიანის უფლებები ყველასთვის“, რომლის ღირებულება 10 მლნ ევროა, მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების განმტკიცებას ევროკავშირისა და საქართველოს შორის ხელმოწერილი დოკუმენტების მიერ პრიორიტეტად აღიარებულ საკითხებში. მათ შორისაა, უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები (განსაკუთრებით ბავშვები და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი), სამართალდამცავ სტრუქტურებზე დემოკრატიული კონტროლის განხორციელება, პირადი ცხოვრების დაცვა, შრომითი უფლებები, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება. სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიისთვის ამ პაკეტიდან 3.5 მლნ ევროა გამოყოფილი.

³ ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგია, მარტი 2014, გვ. 5-6

მიმართულებით სვლის გარეშე.⁴ ამ აშკარა პარადოქსის – ხელსაყრელი გარემოს პირობებში არსებული სუსტი სამოქალაქო საზოგადოების– ახსნა შესაძლებელია, თუკი გავცდებით „ხელსაყრელი გარემოს“ იმ ვიწრო განმარტებას, რასაც სამართლებრივი ნორმები გვთავაზობს.

Civicus –ის მიერ შემუშავებული ინდექსი გვთავაზობს ხელსაყრელი გარემოს განმარტებას სამი პარამეტრის მიხედვით: მმართველობის გარემო, სოციალურ–ეკონომიკური გარემო და სოციალურ–კულტურული გარემო.⁵ თუკი ამ სამი პარამეტრის შემადგენელ კომპონენტებს შევხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველო საკმაოდ კარგად აკმაყოფილებს მმართველობის პარამეტრს, სადაც უმთავრეს ელემენტებად მოიაზრება პოლიტიკის საკითხების შესახებ დიალოგი, კორუფცია, არასამთავრობოებთან დაკავშირებული სამართლებრივი კონტექსტი და გაერთიანებასთან დაკავშირებული უფლებები. თუმცა, სოციალურ–კულტურული გარემოს პარამეტრი, რომელიც მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა მონაწილეობის უნარი, დნობა და მოხალისეობა, საქართველოში შედარებით დაბალია. ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში დაბალსოციალური კაპიტალის მაჩვენებელი.⁶ ამ ელემენტების არარსებობა დადგინდა სტრატეგიის შემუშავების პროცესში მიმდინარე კონსულტაციებისას და დადასტურდა 2014 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების რუკის შექმნის“ (მეფინგის) პროცესში.

ფილანტროპია და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განვითარებული. მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა საკმარის სტიმულს ქველმოქმედების განვითარებისთვის, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებაში აზრი გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის კანონმდებლობა სჯობს ამ საკითხის დასარეგულირებლად. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა ჩანასახის მდგომარეობაშია; მის განვითარებას ხელს უშლის გავრცელებული ტენდენცია, როდესაც, ერთის მხრივ, კომპანიები დახმარებას უწევენ პიარის თვალსაზრისით შთამბეჭდავ, მაგრამ მოკლევადიან და დაბალი მდგრადობის მქონე საქველმოქმედო ინიციატივებს, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ შესწევთ უნარი, კერძო სექტორს მისთვის გასაგებ და მოსაწონ ენაზე შემუშავებული ინიციატივები მიაწოდოს. პირველ ეტაპზე ყურადღება უნდა დაეთმოს ცნობიერების ამაღლებას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის რაობის შესახებ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება უნდა იქცეს ამ საკითხების წამოჭრის ხელშემწყობ ფაქტორად, რადგან კომპანიებს მოუწევთ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილება სხვადასხვა სფეროში, რომელიც, მაგალითად შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა. ევროპული სტანდარტების შესახებ კონსულტირების საშუალებით საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შესაძლოა იპოვონ გზა ბიზნესთან კავშირების დასამყარებლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში, ფინანსური მდრადობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და აიძულებს მათ, ეძიონ დონორთა დაფინანსება. ამის გამო, დონორის დღის წესრიგზე მორგების მიზნით, ხშირად ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულებიდან გადახვევა უწევთ. ესზიანს აყენებს ურთიერთობებსა და კავშირებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და იმ ჯგუფებს შორის, რომელთანაც ისინი მუშაობენ. ამ კონტექსტში დონორთა ქცევა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გულუხვი უცხოური

⁴ 42012 CSO ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის მდგრადობის ინდექსი; გვ 80

⁵ Civicus' 2013 ხელშემწყობი გარემოს მაჩვენებელი

⁶ <http://www.iset.ge/blog/?p=1753>, Soviet Hangover, მაკა ჭითანავა, 8 მაისი, 2013

დაფინანსება ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების სურვილს, იყოს კრეატიული და ამ გზით მოიძიოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები. საქართველოში ცოტა ხდის წინ დაიწყო დიალოგი იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობა დონორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.⁷

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებას ზოგადად დადებით, თუმცა არა ერთგვაროვან გარემოში უწევს საქმიანობა, მმართველობის თვალსაზრისით, სოციალურ- კულტურულ ასპექტში მოსაგვარებელ საკითხთა ჩამონათვალი ჯერ კიდევ საკმაოდ ვრცელია.

1.2 მონაწილეობა და როლები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობა, განსაკუთრებით ცენტრალურ დონეზე. ეს, ნაწილობრივ, ადამიანური რესურსების სამთავრობო სტრუქტურებში გადანაცვლებით აიხსნება, თუმცა პროცესს ხელი შეუწყო დღევანდელი მთავრობის წარმომადგენლებს შორის ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობამ – ისინი ამ ცოდნასა და გამოცდილებას სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში ეძებენ.

სურათი ყველა სფეროში ერთნაირი არ არის, თუმცა, სხვადასხვა სამინისტროსთან ფუნქციონირებენ საკონსულტაციო საბჭოები, მეტნაკლები წარმატებით, რაც თვით იმ სფეროში არსებული სიტუაციითაა განპირობებული. სხვა უწყებებთან შედარებით საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ღია თანამშრომლობის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია იუსტიციის სამინისტროსაქვს. დროთა განმავლობაში სამინისტრომ შექმნა რამდენიმე საკოორდინაციო საბჭო, რომლის ფუნქციაა სექტორული სტრატეგიების შექმნა, საკანონმდებლო ინიციატივებისა და მექანიზმების შემუშავება ისეთ სფეროებში, როგორცაა კორუფციასთან ბრძოლა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა, წამების აღმოფხვრა და ა.შ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (CJR Council), რომელსაც თანათავმჯდომარეობენ იუსტიციის და სასჯელაღსრულების მინისტრები, ევალუა რეფორმების წარმართვა არამარტო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე შესაბამის სტრუქტურებში, ასევე ფინანსთა სამინისტროში, პარლამენტში და სამოქალაქო ორგანიზაციებში. საბჭოს მუშაობაში ეხმარება სამდივნო, რომელიც რეგულარულად ახდენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლებას და მონიტორინგს უწევს მის განხორციელებას ყოველწლიური ანგარიშების მომზადების გზით. სამდივნო დაახლოებით 11 სამუშაო ჯგუფს აერთიანებს.⁸

ამ მოდელმა მართლმსაჯულების რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს – პრემიერ მინისტრის და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით და ევროკავშირის აქტიური მონაწილეობით – შესაძლებლობა მისცა, შეემუშაებინა ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ევროკავშირმა საბჭოს ტექნიკური დახმარება გაუწია, კერძოდ, ადამიანის უფლებების სფეროში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, თომას ჰამარბერგის ანგარიში საფუძველად დაედო ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.⁹

⁷ კონფერენცია „დიალოგი დონორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის“ გუდაური, 18–20 სექტემბერი 2013

⁸ <http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council>

⁹ http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2013/human_rights_2013/human_rights_report_2013_en.htm

სამოქალაქო საზოგადოება მართლმსაჯულების სფეროში აქტიურ როლს თამაშობს. მისი წარმომადგენლები მონაწილეობენ სახალხო დამცველთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობაში; შექმნილია შესაბამისი კოალიციები, როგორცაა, მაგალითად კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის, რომელიც მედიის, სამოქალაქო სექტორის და ბიზნესის 32 წარმომადგენელს აერთიანებს.

რეფორმირების პროცესის ზოგიერთ კონკრეტულ სფეროში, როგორცაა, მაგალითად, ფართომასშტაბიანი დეცენტრალიზაცია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ზედამხედველობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფების რთული სტრუქტურა, რომელიც რეფორმის თითოეულ ასპექტს ამუშავებს. ზოგიერთ ჯგუფს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ხელმძღვანელობს. თუმცა, დღეს არსებულმა მდგომარეობამჩრდილი მიაყენა რეფორმების წარმატებას, რადგან ის ნაკლებად გამოხატავს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის იმ თავდაპირველ ხედვას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდა. რეფორმების კიდევ ერთი პროცესი, რომელიც 2012–2014 წლებში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა, შეეხო საარჩევნო სისტემას, ელექტრონული თვალთვალის სისტემის შესუსტებასა და მედიის სფეროში კანონმდებლობის ცვლილებას.

შეიქმნა რამდენიმე თემატური კოალიცია, რომელიც დაკავებულია საკითხთა მრავალფეროვანი სპექტრით, როგორცაა სურსათის უვნებლობა, ბავშვთა კეთილდღეობა, სოციალური საწარმოები, გენდერული საკითხები და სხვა. თემატური კოალიციების გარდა არსებობს სხვა ქსელები, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი, რომელიც რეგიონებში მოღვაწე ორგანიზაციებს აერთიანებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ევროვნული პლატფორმა 120 წევრს აერთიანებს. მათი უმრავლესობა თბილისში მოღვაწეობს.¹⁰ პლატფორმა ხუთი სამუშაო ჯგუფისგან შედგება. პლატფორმის წევრები გამოვიდნენ ინიციატივით, შეექმნათ რამდენიმე ქვეჯგუფი, რომელიც მათთვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხებზე იმუშავებდა, ესენია: განვითარების ეფექტიანობა, სოფლის მეურნეობა და საარჩევნო რეფორმა. პლატფორმამ წარმატებითთანამშრომლა საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან ევროპასთან ინტეგრაციის სფეროში ინფორმაციის და კომუნიკაციის 2013–2016 წლების სტრატეგიის შემუშავებისა და მიღების პროცესში. პლატფორმის ორგანიზებით ჩატარდა სამი მაღალი დონის სამხმრივი კონფერენცია (საქართველოს მთავრობა/სამოქალაქო საზოგადოება/ევროკავშირი) და 80 შეხვედრა მთავრობის წარმომადგენლებთან, ეროვნულ პლატფორმასა და დარგობრივ სამინისტროებს შორის სტრუქტურული დიალოგის ფორმატში.

¹⁰<http://eapnationalplatform.ge/index.php?a=main&pid=2&lang=eng>

საქართველოს ეროვნული პლატფორმა რეგულარულად ეხმიანება მიმდინარე საკითხებს და აქვეყნებს განცხადებებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა უკრაინის კრიზისი, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ საზღვრის უკანონოდ გავლებისა და სხვა საკითხებს, რომელიც გავლენას ახდენენ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციაზე. მოსალოდნელია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლასთან ერთად, გაიზრდება პლატფორმის მნიშვნელობა. შეთანხმების 412-ე მუხლი სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის შექმნას ითვალისწინებს. საქართველოს პარლამენტის მიერ გამოხატული სურვილი, უფრო აქტიური როლი ითამაშოს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების საქმეში, სამოქალაქო საზოგადოებას შინაარსიანი დიალოგის წარმართვის ახალ შესაძლებლობას უქმნის. პარლამენტის სტრუქტურებში ძალზე დიდია საჭიროება არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტების მონაწილეობისა როგორც პოლიტიკის ფორმულირების, ისე მთავრობის აღმასრულებელი და საბიუჯეტო მოღვაწეობის მონიტორინგის მიზნით. 2013 წლის დეკემბერში, 160-ზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ და საქართველოს პარლამენტმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების პარლამენტთან მეტ თანამშრომლობას. პარლამენტი დათანხმდა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად შეემუშავებინა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კონცეფცია; შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს სხვადასხვა საკითხს – დიალოგის მასშტაბს და დაფინანსების მექანიზმს.¹¹ ზუსტადასეთივე პროცესი განმეორდა რეგიონულ დონეზე; აჭარაში მოქმედმა 18 არასამთავრობო ორგანიზაციამ აჭარის უმაღლეს საბჭოსთან ერთად ანალოგიური პროცესი წამოიწიეს.

პრემიერ მინისტრის თაოსნობით შექმნილი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შედგება, 2013 წლის არჩევნების შემდეგ უფრო ეფექტიანი გახდა მას შემდეგ, რაც პრემიერ მინისტრის როლი ქვეყნის მართვაში უფრო გაძლიერდა. წარმომადგენლის დასახელების (ნომინაციის) პროცედურების წყალობით, რომელიც წინა და დღევანდელი მთავრობის ძალისხმევით შემუშავდა, სამოქალაქო საზოგადოებამ შეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო რამდენიმე საკვანძო თანამდებობის პირის– მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის–შერჩევაში. მიუხედავად ამისა, გამოწვევები კვლავაც რჩება. არის შემთხვევები, როდესაც მთავრობის წევრებს დარწმუნება სჭირდებათ იმაში, რომ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკის საკითხებზე დიალოგში სასარგებლოა. ეს განსაკუთრების ტექნიკურ საკითხებზე მომუშავე სამინისტროებს შეეხებათ, როგორცაა, მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ხშირად აცხადებს, რომ რთულ საბიუჯეტო პროცესში შინაარსიანი ჩართულობისთვის სამოქალაქო საზოგადოებას სათანადო ცოდნა არ აქვს. ზოგ შემთხვევაში მთავრობის მხრიდან გეგმვის არარსებობა ართულებს პროცესს. სამოქალაქო საზოგადოება ხშირად ჩივის, რომ მას არ ეძლევა საკმარისი დრო პოლიტიკის შესახებ დიალოგში კვალიფიციური მონაწილეობისთვის. ეს საჩივარი ყველაზე ხშირად პარლამენტთან მიმართებაში გამოითქმება ხოლმე. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე პოლიტიკის სფეროში დიალოგის წარმართვის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი არის ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიურობის ხარისხი და თანამშრომლების შეზღუდული შესაძლებლობები. დიალოგის მექანიზმი ქაღალდზე არსებობს, თუმცა ის ხშირად ფერხდება ინფორმაციის ნაკლებობის, პროცესის პოტენციური მონაწილეების დაბალი უნარის, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლების არცოდნისა და ადგილობრივი ხელისუფლების შეზღუდული ძალაუფლების გამო.

¹¹<http://www.civilin.org/Eng/viewtopic.php?id=121>

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოლიტიკის შესახებ დიალოგი იმართება, მასში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად თბილისში მომუშავე ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობას, რაც კითხვას ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ადეკვატურად წარმოადგენენ ისინი ადგილობრივი თემის ინტერესები. რეგიონული ოფისები თბილისში მოღვაწე რამდენიმე ორგანიზაციას აქვს; რეგიონში თანთანადობით იზრდება კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა. რეგიონებში არის დიალოგის პოზიტიური მაგალითები და მათი გამოყენება შესაძლებელია.¹²

სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე კონსტრუქციებისას ხშირად განიხილებოდა შეზღუდული ინსტიტუციური შესაძლებლობები და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული ადამიანების დაბალი პროფესიონალიზმი. საჯარო სამსახურისდღეის მოქმედი არასტაბილური და არაეფექტური მოდელი სრულიად არ უწყობს ხელს მათი შესაძლებლობების გაზრდას. თანამშრომლების დიდი დენადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ინსტიტუციურ ეფექტიანობაზე. დღევანდელი კანონმდებლობა არ ადგენს შესაფერის წესებს კარიერული დაგეგმვის, წინსვლის, დაწინაურების, ანგარიშვალდებულებისა თუ შეფასებისთვის. ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში არ არსებობს. ადგილობრივი საჯარო სამსახურის არაეფექტიანობა განსაკუთრებით გამოაშკარავდა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების ცვლილებამ მუნიციპალურ დონეზე თანამშრომლების დიდი დენადობა გამოიწვია. 2012 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება No 1182 რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რეგიონების გუბერნატორთა ადმინისტრაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა გადამზადების შესახებ. დადგენილება მოიცავს კურიკულუმის მონახაზს გარკვეულ პრიორიტულ სფეროებში. დადგენილების შესაბამისად, 2013 წელს განხორციელდა საჯარო მოხელეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომელთა გადამზადება და მიზნად ისახავდა ადგილობრივი და რაიონული ხელისუფლების უნარებისა და შესაძლებლობების მუდმივ განვითარებას; ჯერ–ჯერობით სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა ვერ მოხერხდა, თუმცა, ეს მნიშვნელოვანი დასაწყისია ამ სფეროს დასახმარებლად. სხვადასხვა საზოგადოებრივ – მეთვალყურე (watchdogs), მომსახურების მიწოდებელ და ანალიტიკურ (think tanks) – ორგანიზაციებს შორის სხვაობა ხშირ შემთხვევაში ხელოვნურია. ნებისმიერ ამ ორგანიზაციას სხვადასხვა როლის შესრულება შეუძლია: ეკონომიკურ პოლიტიკაზე მომუშავე ანალიტიკურ ორგანიზაციასამავდროულად შეუძლია განახორციელოს მეთვალყურის ფუნქცია, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ იუჯექტის მონიტორინგის ფორმატში. მომსახურების მიწოდებელი შეიძლება გარდაიქმნას ეფექტიანი ადვოკატირების ან მეთვალყურე ორგანიზაციად იმ საფუძვლიან ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც მან მომსახურების მიწოდებისას შეიძინა, ან იმ ნდობის საფუძველზე, რომელიც მან მომსახურების მიწოდებისას გამოჩენილი პროფესიონალიზმის წყალობით ხელისუფლებისგან მოიპოვა.

საქართველოში, ტრადიციულად, ძლიერი მეთვალყურე ორგანიზაციები არსებობს. ბევრი ორგანიზაცია სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს და მეთვალყურეობას უწევს, როგორც მთავრობას, ისე საერთაშორისო დონორებს, კერძოდ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს.

¹²http://goodgovernance.ge/portal/alias__G3/newsid__4867/callerModID__9352/tabid__4742/default.aspx

ეს ორგანიზაციები განსაკუთრებით კარგად მოღვაწეობენ სახელმწიფო შესყიდვების, გარემოს დაცვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სასჯელაღსრულების სფეროებში.

საქართველოს მიერ ხელმოწერილი „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში მთავრობამ ნებაყოფლობით აიღო რამდენიმე ვალდებულება, რომლის მიზანია მთავრობის გამჭვირვალების ზრდა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაუმჯობესება. ამ რეგულარულ და სტრუქტურულ პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციებიცარიან ჩართულნი, თუმცა, მათ მიერ მომზადებულ ანგარიშებში ნათქვამია, რომ მთავრობის მიერ აღებული ზოგიერთი ვალდებულება ნაკლებმნიშვნელოვანია მეტი ღიაობის უზრუნველსაყოფად, რაც შეეხება მოქალაქეთა მეტ ჩართულობას, მისი უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა დაგეგმვის, ორგანიზებისა და შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობის გამო.¹³ მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხში გარკვეული წინსვლა აღინიშნება.

ბოლო წლების განმავლობაში, ანალიტიკურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს თავიანთი შესაძლებლობების გაზრდა და გააფაროვეს იმ საკითხების სპექტრი, რომელზეც ისინი მუშაობენ. ანალიტიკური ორგანიზაციების 2013 წლის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველოში 13 ანალიტიკური ორგანიზაციაა.¹⁴ თუმცა, ინდექსში აღრეულია რანჟირება: ზოგი ორგანიზაცია ცენტრალური აზიის კატეგორიაში მოიხსენიება, ზოგი – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის. აშშ-ს განვითარების სააგენტომ დააფინანსა ანალიტიკური ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამა. სამეზობლოს სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმში ანალიტიკური ორგანიზაციების ჩართვის საქმეში ევროკავშირმა მხოლოდ მცირედ წარმატებას მიაღწია; პოლიტიკის შესახებ დიალოგი, ძირითადად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარეობდა.

მომსახურების მიწოდებისთვის ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მთავრობიდან უმნიშვნელოდ გაზრდილი დაფინანსება მიიღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციებზე მიმართული ხარჯებიდან. ეს დაფინანსება ძირითადად ამომრჩეველთა განათლების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ახალგაზრდობის საკითხებისთვის გამოიყო. დაფინანსების ეს შესაძლებლობები უფრო მეტმა სამთავრობო სტრუქტურამ უნდა გამოიყენოს. სოციალური მომსახურების მიწოდებით დაკავებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სულ უფრო უჭირთ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება, რადგან სოციალური მომსახურების მიწოდების მეთოდოლოგიაში ახლახანს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სოციალური მომსახურების სახელმწიფო კონტრაქტების რაოდენობა შემცირდა.¹⁵ ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებას უწევს იმ ვაკუუმის (gaps) შევსება, რომელიც მთავრობის მიერ განხორციელებული მომსახურებისას იქმნება (განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებული პირების სფეროში) ნაცვლად იმისა, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს, როგორც მომსახურების მთავარ მიმწოდებელს. მიუხედავად ამისა, სოციალური მომსახურების ფართო სპექტრის (იძულებით გადაადგილებული პირები, ბავშვთა კეთილდღეობა, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები) შესახებ პოლიტიკური დიალოგი კარგად არის განვითარებული და მხარდაჭერილი შესაბამის სფეროებში მომუშავე ძლიერი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციების მიერ.

¹³ <http://www.opengovpartnership.org/country/georgia> ; დამოუკიდებელი ანგარიშის მომზადების მექანიზმი: ანგარიში საქართველოს შესახებ 2012, ლაშა გოცირიძე, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო

¹⁴ <http://gotothinktank.com/the-2013-global-go-to-think-tank-index-ggttti/> 15 2012 CSO მდგრადობის ინდექსი ცენტრალური და აღმოსავლეთ და ევრაზიის რეგიონისთვის, გვ. 85

¹⁵ 2012 CSO მდგრადობის ინდექსი ცენტრალური და აღმოსავლეთ და ევრაზიის რეგიონისთვის, გვ. 85

ეკონომიკის სექტორი სრულიად აუთვისებელი და გამოუყენებელია სამოქალაქო სექტორის მიერ. პროფესიული ასოციაციები იმ სფეროებშიც კისუსტია, სადაც ისინი ფუნქციონირებენ. მორჩილი პროფკავშირებისა და არაფექტურ დამსაქმებელთა ასოციაციების ურთიერთობის ხანძრული პრაქტიკამ და შინაარსიანი სოციალური დიალოგის არარსებობამ ძირითადი გამოუთხარა თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ნებისმიერი ტიპის ეკონომიკურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვას არ კრძალავს, არსებული მექანიზმის ფარგლებში შექმნილი შესაძლებლობებით სარგებლობა სუსტ საზოგადოებრივ ორგანიზაციისთვის მძიმე ტვირთია. სოციალური საწარმოები უფრო მეტი ფინანსური მდგრადობის შესაძლებლობას ქმნიან, თუმცა ისინი ისევე იბეგრებიან, როგორც ჩვეულებრივი საწარმოები.¹⁶ სიტუაციას ართულებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან საგადასახადო საკითხების ზოგადი არცოდნა და დაფინანსების ინოვაციური მექანიზმების შეთავაზების საქმეშიკრეატიულობის ნაკლებობა. დაბოლოს, ცოტა საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ დაფიქრებულა ადგილობრივ ბიზნესთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე; ბევრი მათგანი ამ ტიპის თანამშრომლობას ეჭვით უყურებს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამის (ENPARD) ფარგლებში გარკვეული წარმატება იქნა მიღწეული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის საქმეში. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობით საქართველოში 90 კოოპერატივი შეიქმნა. კოოპერაციული მოძრაობისა და სოციალური საწარმოების გაფართოება პოტენციურად ყველაზე იმედისმომცემი მიმართულებაა საქართველოს რეგიონების მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვის საქმეში; ის შესაძლებლობას უქმნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ ცნობიერების ამაღლების, ადვოკატირების, შესაძლებლობების განვითარების და ზოგიერთი ძირითადი სოციალური პრობლემების მოგვარებაში.

1.3 შესაძლებლობები

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ნდობა მრავალ, ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ განვითარებას ხელს უშლის დონორთა უმეტესობის მიერ (ევროკავშირის ჩათვლით) დაფინანსების გამოყოფა კონკრეტული პროექტებისთვის, ნაცვლად ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერებისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი თანხების (core funding) გამოყოფისა. ამას ხშირად მოყვება ხოლმე დონორის დღის წესრიგს მორგებული საქმიანობის წარმართვა, თუმცა ამგვარი პრაქტიკით გამოწვეული უარყოფითი შედეგი შეიძლება განეიტრალდეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ფართომასშტაბიანი კონსულტირებით. ეს, თავის მხრივ, ურთულებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამიზნე ჯგუფებთან გრძელვადიანი და შინაარსიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართული საქმიანობის წარმართვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშვალდებულების საკითხზე საუბრისას საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამიზნე ჯგუფების წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხი მხოლოდ ახლახანს დაისვა. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი რეგიონული ორგანიზაცია, ასევე თბილისში მდებარე ორგანიზაციების რეგიონული ფილიალები, უკეთ ამყარებენ ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ანგარიშგების და კავშირების დამყარების მარტივი მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია სიტუაციის გაუმჯობესება. ბოლო დრომდე ანგარიშვალდებულება აღიქმებოდა, როგორც მთავრობის წინაშე

¹⁶ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ეგიდით გამართული სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაცია, 4 აპრილი, 2014 (წინამდებარე სტრატეგიის შესახებ კონსულტაციების ნაწილი)

ანგარიშვალდებულება ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება დონორების წინაშე. ამ ახალი ტიპის ანგარიშვალდებულების მზარდი გამოყენების წყალობით, არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დონორები გააუმჯობესებენ მუშაობას და დაემარებიან პოზიტიური ცვლილებებს ამ მიმართულებით. შეიქმნა ამ საკითხებზე მომუშავე სადისკუსიო ფორუმი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები იძულებულნი არიან მოიძიონ დონორთა დაფინანსება, რადგან დაფინანსების ალტერნატიული წყაროები არ არსებობს. ეს უდაოდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე, რადგან ფინანსური გაურკვეველობა ართულებს ორგანიზაციებში კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას, აფერხებს ადამიანური რესურსების განვითარებასა და ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან თანამშრომლების სამთავრობო სტრუქტურებში გადასვლა ხშირად დამღუპველია მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის, თუმცა, ამან შეიძლება ბიბგიც მისცეს ხელისუფლებასთან შემდგომი დიალოგის წამოწყებას და პირიქით, მთავრობის წევრების საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გადასვლას, როგორც ეს 2012 წლის მთავრობის ცვლილების შემდეგ მოხდა. ფინანსური მართვაც პრობლემურ საკითად რჩება, განსაკუთრებით სამართლებრივი ჩარჩოსა და საგადასახადო რეჟიმის არცოდნის გამო. ზოგადად, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ნაკლებად უჭირთ დონორებისთვის ფინანსური ანგარიშების წარდგენა, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებისთვის. დონორების მიერ ჩატარებულმა ტრენინგებმა პროექტებისა და ფინანსური მართვის სფეროში უდაოდ გაამარტივა დონორთა მოთხოვნების შესრულება. საქართველოს ხელისუფლება ხშირად საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას ბიზნესის საქმიანობასთან აიგივებს, რაც სიტუაციას ბევრად ართულებს. ინფორმაციის ნაკლებობა და გაურკვეველობა ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან შესაძლებლობების ნაკლებად გამოყენებას, რადგან დაფინანსების მოძებნაზე ფიქრისას მათ სიფრთხილის გამოჩენა და გვერდზე დგომა ურჩევნიათ.

საქართველოს მთავრობა და ევროკავშირი ერთგულად ზრუნავენ მეტ გენდერულ თანასწორობაზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ტრენინგს გაივლიან გენდერულ საკითხებში იმისთვის, რომ უკეთ გაიგონ ძირითადი ცნებებისა და ამ საკითხისადმი დონორების მიდგომა. შედეგად, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფრო ეფექტიანად შეძლებენ საპროექტო წინადადებებში და მათი საქმიანობის სხვა – საკანონმდებლო თუ პოლიტიკის შემუშავების – სფეროებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას.

2012 წლის შემდეგ პოლიტიკის საკითხებში დიალოგისა და ადვოკატირების საქმეში საგრძნობი წინსვლა შეინიშნება. ეს გარკვეულწილად ხელისუფლებასთან აზრიანი თანამშრომლობის მეტი შესაძლებლობის გაჩენითაა გამოწვეული. მეორეს მხრივ, დონორებმა, ევროკავშირის და აშშ-ს განვითარების სააგენტოს ჩათვლით, საკმაო რაოდენობის ინვესტირება მოახდინეს ტრენინგში ადვოკატირების, მონაცემებზე დაფუძნებული კვლევის, საზოგადოებასთან ურთიერთობების, კომუნიკაციის და კოალიციების შექმნის სფეროში. ორგანიზაციები, რომლებმაც ტრენინგი გაიარეს, დაიწყეს მთავრობასთან და პარლამენტთან თანამშრომლობა, რომლის დროსაც მაქსიმალურად ცდილობდნენ მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებას პოლიტიკის საკითხებზე თუ საკანონმდებლო ცვლილებების მუშაობისას.

2012 წლიდან საქართველოს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წარმატებით ჩაატარეს ადვოკატირების რამდენიმე ფართომასშტაბიანი კამპანია დონორთა მონაწილეობის გარეშე. ამ ძალისხმევამ აიძულა მედია, უფრო მეტად გაეშუქებინა მათი საქმიანობა და აამაღლა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ დადებითი დამოკიდებულება მოქალაქეთა თვალში. ეს

მიღწევები მნიშვნელოვანია, თუმცა სასურველია, რომ უფრო მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, მათ შორის რეგიონებში, შეიძინოს სასურველი უნარები და მიიღოს გამოცდილება. პოლიტიკის სფეროში დიალოგის წარმართვის უნარი წინამდებარე სტრატეგიით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია და მოიცავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების უნარს, იურთიერთონ მთავრობასთან ასოცირების შეთანხმების/დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის პოლიტიკური ჩარჩოს ფარგლებში. მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა მდგრადი და ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი უნდა იყოს.

2 ევროკავშირის მონაწილეობა

2.1. ევროკავშირის სტრუქტურული დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან

ევროკავშირის წარმომადგენლობა უშუალოდაა ჩართული სამოქალაქო საზოგადოებასთან რეგულარულ პოლიტიკურ თუ სხვა სახის თანამშრომლობასა და შეხვედრებში. ეს შეხვედრები ხშირად დაუგეგმავად ხდება (*ad hoc*), ხშირად კი კონკრეტული სფეროს პოლიტიკის კონტექსტში შექმნილი ოფიციალური პროცესის ფარგლებში მიმდინარეობს. როგორც წესი, დღის წესრიგს ევროკავშირის წარმომადგენლობა შეიმუშავებს და მონაწილეებს ერთი კვირით ადრე უგზავნის. წარმომადგენლობა მაქსიმალურ ძალისხმევას იჩენს ეროვნული პლატფორმის წევრი თუ არაწევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოსაწვევად, რომლებსაც საკითხის მიმართ პროფესიული ინტერესი აქვთ. წარმომადგენლობა მაქსიმალურად ცდილობს, მოიწვიოს არამარტო ტრადიციული, არამედ ახალი, საკითხით დაინტერესებული პარტნიორი ორგანიზაციები. მომავალში წარმომადგენლობა აპირებს ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფებთან რეგულარული პირდაპირი კონსულტაციების გამართვას. კონსულტაციების დღის წესრიგი ერთობლივად შემუშავდება, რომ უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საინტერესო საკითხების განხილვა. ელექტრონული ფოსტის საშუალებით მონაწილეებს მიეწოდება შეხვედრებზე განხილული საკითხების მოკლე შინაარსი, განსახორციელებელი სამუშაოს თუ საჭიროების შემთხვევაში ორმხრივი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია და პრეზენტაციები.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიმდინარე მხარდაჭერის ფარგლებში წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია სამ „ტრიალოგს“, რომლის დროსაც განხილული იყო პოლიტიკის საკვანძო საკითხები; პლატფორმამ მთავრობას პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ რეკომენდაციები წარუდგინა.¹⁷ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, პლატფორმის საკოორდინაციო საბჭომ და სამუშაო ჯგუფებმა ევროინტეგრაციის კონკრეტულ სფეროებში წინსვლის განხილვის მიზნით გასული წლის განმავლობაში თითქმის 50 შეხვედრა გამართეს. ამასთან, პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა მთავრობის წევრებთან ამავე საკითხზე დაახლოებით 30 ერთობლივი თუ ინდივიდუალური შეხვედრა გამართეს.

კანონის უზენაესობის სფეროში მოქმედმა მრგვალი მაგიდის ფორმატმა, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენლობის თაოსნობით 2008 წელს შეიქმნა, თავი მოუყარა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ყველა დაინტერესებულ მხარეს. ის თანდათანობით იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილმა სხვადასხვა მექანიზმმა ჩაანაცვლა და დღეს მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში იმართება.

¹⁷<http://eapnationalplatform.ge/index.php?a=main&pid=283&lang=eng> პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტები

არჩევნების ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც 2008 წლიდან ევროკავშირის წარმომადგენლობა და გაეროს განვითარების პროგრამა თანათავმჯდომარეობენ, აერთიანებს დაახლოებით 30 საარჩევნო საკითხებით დაინტერესებულ უწყებას; ყოველთვიურად ჯგუფი ისმენს ანგარიშებს, განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს და კოორდინირებას უწევს საარჩევნო დახმარებას. ჯგუფში მონაწილეობენ ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი და საერთაშორისო საარჩევნო არასამთავრობო ორგანიზაციები და ძირითადი დონორები. მონაწილეები რეგულარულად წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებს. 2012 წლიდან ამ შეხვედრებს ცენტრალური საარჩევნო კომისია მასპინძლობს, რითაც ადასტურებს, რომ სწორედ ის არის ამ პროცესის წარმმართველი.

სოფლის მეურნეობის დონორთა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენლობის თაოსნობით 2009 წელს შეიქმნა, ინფორმაციის დაცოდნის გაცვლისა და ტექნიკური კონსულტირების მდგრადი მექანიზმია. დღეს მასში 40-ზე მეტი დონორი, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია, ფერმერი და სამთავრობო უწყებაა გაერთიანებული. მას რთული, შვიდი საკოორდინაციო ქვეჯგუფებისგან შემდგარი სტრუქტურა აქვს. თითოეული ქვეჯგუფი სოფლის მეურნეობის კონკრეტული სფეროს საჭიროებებზე მუშაობს. ჯგუფმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ძირითადი დოკუმენტების, მათ შორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხილვაში და კოორდინირება გაუწია დონორთა მხრიდან დოკუმენტის განხილვას და საბოლოო დოკუმენტში შემოსული კომენტარების ჩამატებას. 2014 წლის მაისში, სოფლის მეურნეობის დონორთა საკოორდინაციო ჯგუფზე პასუხისმგებლობა ოფიციალურად გადაეცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, როგორც ეს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის (ENPARD) შესაძლებლობების განვითარების კომპონენტით იყო გათვალისწინებული.

2.2 დიალოგი პოლიტიკის სფეროში ხელშემწყობი გარემოს უზრუნველსაყოფად

ევროკავშირის წარმომადგენლობისთვის არავის მიუმართავს თხოვნით, უშუალოდ ჩარეულიყო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის ღონისძიებებში, რადგან ზოგადად გარემო პოზიტიურია. არ არსებობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაციასთან, შეკრების და გაერთიანების თავისუფლებასთან, გამოხატვის თავისუფლებასა თუ სამოქალაქო აქტივისტებზე ღია ფორმით ზეწოლასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს საკითხები ხელშემწყობი გარემოს მექანიზმის ფარგლებში მოქმედ მმართველობის სეგმენტს განეკუთვნება. საქართველოსთან მიმართებაში მეტი სამუშაო ჩასატარებელი კანონქვემდებარე აქტების დახვეწის მიმართულებით, განსაკუთრებით ფინანსური კუთხით. სხვა ფაქტორები, რომელიც კანონმდებლობის ჩარჩოებს სცილდება, საჭიროებს მოგვრებას და წინამდებარე დოკუმენტის სხვა თავებშია განხილული.

ევროკავშირის წარმომადგენლობის მცდელობა, დაეხმაროს ხელშემწყობი გარემოს შექმნას, იმ ფუნქციებისა და როლის შესრულებას მხარდაჭერას ეთმობოდა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას და მთავრობას აკისრიათ განვითარებად დემოკრატიულ საზოგადოებაში, მათ შორისაა ავტონომიურად მოქმედების აღიარება, ძირითადი უფლებები და მოვალეობები, ის სამართლებრივი და ლოჯისტიკური სირთულეები, რომელსაც ისინი მოვალეობების შესრულებისას აწყდებიან; მათი ერთგულება ისეთი საერთო ღირებულებებისა, როგორიცაა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ა. შ.

საქართველოს პარლამენტის ახლადგაცხადებული სურვილის გათვალისწინებით, ღიად ჩაერთოს სხვადასხვა მხარესთან თანამშრომლობაში, ევროკავშირის წარმომადგენლობამ სამოქალაქო საზოგადოების პარლამენტის მუშაობაში ჩართვის შესაძლებლობების მოძიებას მნიშვნელოვანი ძალისხმევა მოახდინა. ეს მოხერხდა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების საშუალებით. პროექტებში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული, რაც იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით შემუშავდა და მიღებულ იქნა რამდენიმე კარგი კანონი, ასევე დაიწყო სტრუქტურული დიალოგი პარლამენტსა და 160-ზე მეტ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის, რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოებისთვის პოლიტიკის შესახებ დიალოგის და ფინანსური დახმარების ჩარჩოს ინსტიტუციონალიზაცია.¹⁸ ამას ემატება პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება „ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის“ ფარგლებში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისთვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფაში დონორთა როლს სათანადო ყურადღება დაეთმო. ევროკავშირის წარმომადგენლობა აქტიურად მონაწილეობს პროცესში, რომლის რამდენიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ წამოიწყო და რომლის მიზანია საერთო ფასეულობების შესახებ დისკუსიის მოწყობა და მათზე შეთანხმება, რაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და დონორებს შემდგომი თანამშრომლობის საშუალებას მისცემს. განსახილველ საკითხებს შორისაა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა დონორთა სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაში, კომუნიკაცია და კოორდინაცია (დონორებს შორის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, დონორებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის), გარემო, რომელშიც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფუნქციონირებენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიზირების პრობლემა; რისკების ანალიზი (რა მუშაობს კარგად და რა არა), სტრატეგიების პერიოდული შეფასება, დონორთა მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასება; საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეთიკის კოდექსი; მათი შესაძლებლობების განვითარება, ინოვაციის და რისკის ურთიერშეპირისპირება, ანგარიშგების და შეფასების სისტემების შემუშავება, სპეციალური მიდგომების შემუშავება სამოქალაქო აქტივიზმის წასახალისებლად; მოქალაქეთა მონაწილეობა ყველა ეტაპზე; სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა განვითარების პროცესში დონორთა მხარდაჭერით.

დაბოლოს, თუ პრაქტიკულ საუბარს დავუბრუნდებით, წარმომადგენლობამ, სპეციალური პროექტის ფარგლებში ხელი შეუწყო საგადასახადო ჩარჩოს გაუმჯობესებას იმისთვის, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში, მათ შორის ეკონომიკურ და მონხალისეობაზე ორიენტირებულ საქმიანობაში მეტი თავისუფლება იგძნონ. ამ მიდგომას მხარდაჭერა ექნება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაშიც, რადგან ეს არის ნაწილი ევროკავშირის უფრო ფართომასშტაბიანი ძალისხმევისა, დაეხმაროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების უნარს, წარმატებით მოახდინონ დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება.

2.3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა

¹⁸<http://www.wfd.org/upload/docs/The%20Georgia%20Programme.pdf>
<http://www.civilin.org/Eng/viewprogram.php?id=2>

სხვადასხვა სფეროში განხორციელებული ორმხრივი პროგრამების საშუალებით ევროკავშირის წარმომადგენლობამ წარმატებით მოახდინა სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა პროგრამირების ყველა- შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების – ეტაპზე.

მართლმსაჯულების სფეროს რეფორმირების კონტრაქტის (SRC) მთავარი მიღწევა კოორდინირებული და მხარეების მონაწილეობით შემუშავებული პოლიტიკის შექმნაა, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავიდანვე, პროგრამის შემუშავების პირველი ეტაპიდანვე მონაწილეობას გულისხმობდა. სფეროს რეფორმირების კონტრაქტის ზოგადი პირობა პოლიტიკის შემუშავებისა და სტრუქტურული მონიტორინგის ინკლუზიური და მონაწილეობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნაა. იუსტიციის სამინისტროს ეგიდით მოქმედი რამდენიმე ინტიტუციონალიზებული მექანიზმის საშუალებით საზოგადოებრივი ორგანიზაციები პროგრამის ყველა კომპონენტში მონაწილეობენ. ამ მექანიზმების საშუალებით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წვლილი შეაქვთ საკანონმდებლო პროცესში, სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და მათ შედგომ მონიტორინგში. ქართული მხარის მიერ სექტორულ პოლიტიკაში განხორციელებულ რეფორმებზე პასუხისმგებლობის შესახებ რეგიონულ დებატებში მონაწილეობის გზით.

პროგრამის ფარგლებში ადვოკატთა ინტერესების გამომხატველმა ყველაზე დიდმა პროფესიულმა ორგანიზაციამ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ – მისი, როგორც წარმომადგენლობითი ორგანიზაციის სტატუსის განსამტკიცებლად და შესაძლებლობების განსავითარებლად, ფართომასშტაბიანი დახმარება მიიღო. ევროკავშირის დაფინანსებამ, როგორც თემატური ისე ორმხრივი ინსტრუმენტების ფარგლებში გაზარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა პატიმართა რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის სფეროში სერვისების მიწოდების კუთხით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა პოლიტიკის შესახებ მიმდინარე დიალოგში და მათი ჩართვა დამატებითი სერვისების მიწოდებაში კვლავაც გაგრძელდება. პროგრამის ფარგლებში მოხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფრო სტრუქტურული მონაწილეობა მართლმსაჯულების სფეროს რეფორმირებაში. არსებობს აკადემიური დაწესებულებებისთვის დამატებითი დახმარების გაწევის შესაძლებლობა, მათი ანალიტიკური და კვლევითი შესაძლებლობების გასაზრდელად, რომ შემდგომში მოხდეს მათი პოლიტიკის შესახებ დიალოგში ჩართვა მონაცემებზე დაფუძნებული კვლევების/შეფასების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის სფეროში ევროკავშირის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარების მიღების წინაპირობა იყო საბჭოს შექმნა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. საბჭოს ფუნქცია იყო პოლიტიკის შესახებ დიალოგის წამოწყება და ამ სფეროში მთავრობის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი. კანონების შემუშავებასა (მაგალითად კოოპერატივების შესახებ) და სხვა საქმიანობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მონაწილეობდნენ, რადგან ეს საბიუჯეტო დახმარების ტრანშის გამოყოფის აუცილებელი პირობა იყო. მართლმსაჯულების სფეროს რეფორმირების კონტრაქტის (SRC) საერთო ბიუჯეტის თითქმის 50% საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ იქნა ათვისებული; მათ მთავარი როლი შეასრულეს საქართველოს მასშტაბით კოოპერატივების შექმნის მხარდაჭერის საქმეში.

არსებობს სინერჯის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა წინამდებარე სტრატეგიასა და სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროს რეფორმირების კონტრაქტს შორის,

რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია; სინერგია შესაძლებელია დეცენტრალიზაციის/რეგიონული ადმინისტრირების და ზედამხედველობის/ანტიკორუფციულ კომპონენტებში. მართლმსაჯულების სფეროს რეფორმირების კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება და პარტნიორობის სტიმულირება, უკვე არსებული ქსელების განმტკიცების ჩათვლით. ქსელები შეიძლება გეოგრაფიული პრინციპით შეიქმნას როგორც რეგიონის შიგნით ისე რეგიონებს შორის; შესაძლებელია ასევე თემატური ქსელების შექმნა, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდება თანამშრომელთა გამოცდილების გაზიარებაზე, კოალიციების შექმნაზე, შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ა.შ.

პროფესიული განათლების და გადამზადების სფეროს რეფორმირების კონტრაქტის მომზადების ყოველ ეტაპზე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ევროკავშირის წარმომადგენლობასთან კონსულტაციები გაიარეს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები რეფორმების განხორციელებაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ისეთი ღონისძიებების საშუალებით, რომელიც ძირითად ყურადღებას უთმობს პარტნიორობას პროფესიული განათლების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მხარეებთან თანამშრომლობას ადგილობრივ დონეზე, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის განვითარების მიზნით.

საქართველოში სახელმწიფო ფინანსების მართვა ევროკავშირისთვის ერთერთი ძირითადი საკითხია. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ხელს ის უშლიდა, რომ შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები თავს იკავებდნენ მათთან ტექნიკურ საკითხებზე თანამშრომლობისგან. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობს 2009 წელს ფინანსთა სამინისტროს განკარგულების საფუძველზე შექმნილ სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრებში, რომელსაც ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობს. საბჭოს შექმნა იყო ერთ-ერთი ის ზოგადი პირობა, რომელიც სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროს რეფორმირების მეორე კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. საბჭო განიხილავს და იღებს სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს და მონიტორინგს უწევს მათ განხორციელებას. სამოქალაქო ფორუმში საზოგადოების მონაწილეობა ამ კიდეც უფრო განმტკიცდება დამატებითი პროექტის საშუალებით, რომელიც სამეზობლოს სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმიდან დაფინანსდება. ეს პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარი ბიუჯეტის მონიტორინგის კოალიციის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მისი წევრების შესაძლებლობების გაზრდას და ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსების მართვის საკითხებში საჯარო განხილვების მოწყობას.

რეგიონული განვითარების სფეროს რეფორმირების კონტრაქტის ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთვებიან პროგრამის მონიტორინგში. გზით ოხდება ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებში კვლევის ჩატარების უნარის გასაზრდელად მოხდება კვლევითი სამუშაოს დაკვეთა. კვლევები შეეხება რეგიონული განვითარების საკითხებს და საშუალებას მისცემს მთავრობას, განახორციელოს მონაცემებზე დამყარებული და შედეგებზე ორიენტირებული რეგიონული პოლიტიკა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ დიალოგში იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ პოლიტიკის შესახებ. ისინი იძულებით გადაადგილებულ პირთა,

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეგიდით შექმნილ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც არიან და უშუალოდ მონაწილეობენ ექსპერტთა დროებით ჯგუფებში და სამუშაო ჯგუფებში. იძულებით გადაადგილებულ პირთა მეოთხე პროგრამის შემუშავების მიზნით (რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას ითვალისწინებს), ჩატარდა ინტენსიური კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან. შესაბამისი კონკურსის გამოცხადება შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დახმარება გაუწიონ ამ პროგრამის განხორციელებაში იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელების გზით. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში პროგრამის მონიტორინგს განხორციელებს სახალხო დამცველის აპარატი.

2.4 კორდინაცია

2009 წლიდან განხორციელდა სულ მცირე ორი მცდელობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სფეროში დონორთა კრდინირებისა, თუმცა ორივე უშედეგოდ დასრულდა. თავდაპირველად კოორდინაციას ახორციელებდა ფონდი „ღია საზოგადოება–საქართველო.“ მას შემდეგ, რაც ეს კოორდინირება შეწყდა, ევროკავშირის წარმომადგენლობა კვარტალური შეხვედრების ორგანიზების ინიციატივით გამოვიდა. დონორთა მხრიდან ინტერესის ნაკლებობის გამო, სამი შეხვედრის შემდეგ შეხვედრები არ გამართულა; კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ იმ ეტაპზე კორდინაცია არ სცილდებოდა ინფორმაციის მექანიკურ გაცვლას და არ იძლეოდა თანამშრომლობის/სინერჯის შესაძლებლობას, რაც მთელს პროცესს უფრო საინტერესოსა და სასარგებლოს გახდიდა. შედარებით რეგულარული კოორდინაცია მიმდინარეობს ორმხრივ ფორმატში ევროკავშირისა და აშშ განვითარების სააგენტოს შორის, რადგან ისინი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სფეროს ყველაზე დიდი დონორები არიან.

2.5 მიღებული გამოცდილება

მიღებული გამოცდილება შეიძლება დაიყოს გამოცდილებად, რომელიც ყოველდღიური საქმიანობის კონტექსტშია მნიშვნელოვანი და ისეთად, რომელიც პოლიტიკას ან პოლიტიკურ გარემოს შეეხება.

საქმიანობიდან მიღებული დასკვნები

შედეგზე ორიენტირება – დონორმა უნდა აჩვენოს საკმარისი მოქნილობა და დართოს ნება გრანტის მიმღებს, შეცვალოს მიდგომა პროექტის მიმდინარეების შუა ეტაპზე, თუკი ის ვერ ამართლებს ან გააკეთოს რაღაც სხვა, რაც უფრო კარგად „მუშაობს.“

პროექტის ვადები– პროექტის უფრო ხანგრძლივი ვადით მხარდაჭერამ შეიძლება უფრო მეტი სარგებელი მოიტანოს. დონორი შედეგზეა ორიენტირებული, მაგრამ ხშირად შედეგის მიღწევა შეუძლებელია იმ ორი წლის განმავლობაში, რომელიც პროექტისთვისაა გამოყოფილი. მდგრად შედეგებს და ნამდვილ ცვლილებებს მეტი დრო სჭირდება.

ჭეშმარიტად მდგრადი საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის საბაზისო/ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დაფინანსება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მისგან მიღებული სარგებელი არის ორგანიზაციის მეტი მოქნილობა, მანდატის უკეთ განხორციელების შესაძლებლობები და მთავარი ღირებულებების ერთგულება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა არ აპირებს საბაზისო დაფინანსების მექანიზმის გამოყენებას, ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანა ამ

შესაძლებლობას იყენებს. ევროკავშირის წარმომადგენლობა განაგრძობს ამ სფეროში არსებულ სიტუაციაზე დეკვირვებას.

პოლიტიკური/პოლიტიკის სფეროს დასკვნები

პროცესზე ორიენტირება – პროექტის განხორციელების პროცესისგან განსხვავებით, პოლიტიკურ თუ სხვა ტიპის კონსულტაციებში ხშირად პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ პროცესიდან მიღებული შედეგი. დონორთა სურვილი მიიღონ გამჭვირვალე და ინკლუზიური გადაწყვეტილებები, ძალიან კარგი შედეგის მომტანია როგორც სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ისე მთავრობისთვის და შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სოციალური კაპიტალის მშენებლობაში.

დონორთა მიერ ნაკარნახევი დღის წესრიგი ასუსტებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – დონორთა დაფინანსების მოსაძიებლად საზოგადოებრივი ორგანიზაციები იძულებულნი არიან უარი თქვან თავიანთ მისიაზე; ეს ძირს უთხრის მათ მდგრადობას, რადგან ვერ ახერხებენ სამიზნე ჯგუფებთან ურთიერთობის დამყარებას, თანამშრომლების შენარჩუნებას და გამოცდილების მიღებას.

საფუძვლად არსებული პროცესის გამოყენება – ახლის გამოგონება ნაკლებ მდგრადია, ვიდრე არსებულ პროცესზე დაყრდნობით საქმიანობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს პროცესი ბუნებრივად გამოდინარეობს ადგილობრივი კონტექსტიდან და ის ადგილობრივი აქტორების დახმარებით ხორციელდება.

დიალოგის საჭიროების დროულად განსაზღვრა – ახალ მხარეებთან/პარტნიორებთან დიალოგის საჭიროების დროულად განსაზღვრა უფრო ინტენსიურ დიალოგის შესაძლებლობას შექმნის

3. პრიორიტეტები

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის სტრატეგიის სახელმძღვანელო მითითებებში გამოყოფილია სამოქალაქო საზოგადოებისთვის დახმარების გაწევის სამი ძირითადი სფერო, ესენია: i) ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესება; ii) პოლიტიკის სფეროს დიალოგში მონაწილეობა და iii) შესაძლებლობების გაძლიერება.

წინამდებარე დოკუმენტი საუბრობს ხელსაყრელი გარემოს შესახებ და იზიარებს Civicus-ის მოსაზრებას ხელსაყრელი გარემოს შესახებ, რომელიც მოიცავს არამარტო მმართველობის, არამედ სოციოკულტურულ და სოციოეკონომიკურ ასპექტებსაც. სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს სოციოკულტურულ ასპექტზე, რომელიც საქართველოში ყველაზე სუსტადაა განვითარებული. სტრატეგია შეეცდება ასახოს სუსტი სამოქალაქო მონაწილეობის პრობლემა, პირველ რიგში საქართველოს რეგიონებში. მიდგომა, რომელიც იქნება გამოყენებული მიზნად ისაცავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კავშირების დამყარება ქალაქებსა და რაიონებში მთელი საქართველოს მასშტაბით და ამ გზით შესაძლებლობების, კავშირების, გამოცდილების და ანგარიშვალდებულების გაზრდა. ამავდროულად, გატარდება ღონისძიებები საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სამოქალაქო განათლების კურიკულუმს შორის უფრო აქტიური კავშირის დასამყარებლად, რაც მიზნად ისახავს სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდას საქართველოს ყველა რეგიონში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. შედეგად მოსალოდნელია სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის გაზრდა, რადგან ის

გახდება უფრო მრავალფეროვანი და სიცოცხლისუნარიანი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უფრო მეტ წონას შეიძენს ადგილობრივ თემში.

დაბოლოს, ევროკავშირი მხარს დაუჭერს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე მიმართულ ძალისხმევას და ამ მიზნით, მიაწოდებს მათ ინფორმაციას დაფინანსების ახალი წყაროების და მოდელების შესახებ; მხარს დაუჭერს საკანონმდებლო დოკუმენტების დახვეწას, რაც გავლენას იქონიებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და, სავარაუდოდ, გაზრდის მათ ფინანსურ და ზოგად მდგრადობას.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკის შესახებ დიალოგში მონაწილეობას, სტრატეგიის თანახმად ქართულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უფრო დიდი როლი უნდა შეასრულონ პოლიტიკის შესახებ დიალოგში ადგილობრივ დონეზე და ეს ძალისხმევა საზოგადოების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული. სტრატეგიაში ასახული ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომა ითვალისწინებს პარტნიორობის ხელშეწყობას და დიალოგს მდგრადი განვითარებისთვის, პირველ რიგში ადგილობრივ დონეზე, მაგრამ, ამავე დროს წვლილის შეტანას პოლიტიკის შესახებ დიალოგში ეროვნულ დონეზე. ეს არ ნიშნავს, რომ ევროკავშირი მხარს არ დაუჭერს პოლიტიკის სხვა მიმართულებებს, თუმცა პირველ რიგში ყურადღება დაეთმობა ადგილებზე ახალი ინიციატივების შემუშავების უნარის განვითარებას მზარდი მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების გზით. მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა მთავარ როლს შეასრულებს ამ ამოცანის შესრულებაში. ეს ღონისძიებები თან უნდა სდევდეს ევროკავშირის დახმარებას სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში, რეგიონული განვითარების და საჯარო სექტორის მოსალოდნელი რეფორმის პროცესში, ასევე დეცენტრალიზაციის ადგილობრივი ძალისხმევისა და სასოფლო-სამეურნეო განვითარების საქმეში, რაც საქართველოს რაიონების აღორძინების მთავარი მამოძრავებელი საკითხებია.

სტრატეგია არ განიხილავს შესაძლებლობების განვითარებას, როგორც ძირითად ფაქტორს, რადგან შესაძლებლობების განვითარება არ არის პანაცეა. შესაძლებლობების განვითარება მიჩნეულია „გამჭოლ“ საკითხად, რომელსაც მუდმივად და ხანგრძლივი პერიოდით მიექცევა ყურადღება ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელებისას.

მაგალითად, კოალიციების შექმნის უნარი ითამაშებს როლს რეგიონული და თემატური კოალიციების შექმნაში დახმარების გაწევის პროცესში, ან, მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მართვის შესაძლებლობების განვითარება არამარტო დონორთა თანხების მართვის უნარს, არამედ მათ „ფინანსურ წიგნიერებასაც“ გაზრდის და უკეთ გააცნობს იმ ფინანსური ჩარჩოს, რომელშიც ისინი ოპერირებენ; შედეგად გაიზრდება მათი მდგრადობაც. როგორც უკვე გამოჩნდა, შესაძლებლობების გაზრდა მთელს სტრატეგიაშია ჩაქსოვილი. ეს ევროკავშირის გრძელვადიანი ამოცანაა.

გენდერული თანასწორობა და ყველა ტიპის უმცირესობების ჩართვა აქტიურად და მაქსიმალური კრეატიულობით იქნება გამოყენებული ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდება.

მოსალოდნელი შედეგი: სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობა გაიზარდა

- სამოქალაქო საზოგადოებასა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დიალოგის სივრცე გაფართოვდა და მონაწილეობა გაიზარდა;

ინდიკატორები:

- ✓ დიალოგში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა და მრავალფეროვნება იზრდება;
 - ✓ კონსულტაციების შედეგად შემუშავებული პლიტიკისა და საკანონმდებლო პროექტების რაოდენობა და ხარისხი იზრდება; იზრდება, ასევე საკონსულტაციო საბჭოების რაოდენობა სხვადასხვა სამინისტროში;
 - ✓ მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზები შექმნილია/ინსტიტუციონალიზებულია.
- სამოქალაქო საზოგადოების უნარი, ითანამშრომლოს ევროკავშირთან და სხვა დონორებთან გაიზარდა;

ინდიკატორები:

- ✓ პროგრამების შემუშავებისას ევროკავშირი რეგულარულად ურთიერთობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
 - ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ დონორთა საკონსულტაციო მექანიზმში და თავიანთ ცოდნას უზიარებენ;
 - ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართულნი არიან ევროკავშირის პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;
- სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშვალდებულება გაიზარდა

ინდიკატორები:

- ✓ უფრო მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა შიდა მმართველობა;
 - ✓ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაზღვრეს მთავარი სამიზნე ჯგუფები და მათ რეგულარულად აზარებენ ანგარიშს;
 - ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელს უწყობენ სამიზნე ჯგუფების მონაწილეობას მათი საქმიანობის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;
- სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური მდგრადობა განმტკიცდა

ინდიკატორები:

- ✓ საზოგადოებრივ ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების (დაჯგუფებული მოცულობის, რეგიონის, თემატური სფეროს და ა. შ. მიხედვით) ტენდენცია;
- ✓ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესწევთ უნარი, წარმოადგინონ სტრატეგიული განვითარების გეგმები, რომელიც ფინანსების მოძიების სტრატეგიასაც მოიცავს;
- ✓ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბების ტენდენცია;

- ✓ მდგრადი და შედეგზე ორიენტირებული კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების განხორციელების ტენდენცია კერძო სექტორში;
- ✓ მიღებულია საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მეტ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას, ჩაებას ეკონომიკურ საქმიანობაში;
- ✓ შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;

მოსალოდნელი შედეგი: სამოქალაქო აქტივობა გაიზარდა

- სამოქალაქო განათლებას აქვს მხარდაჭერა და მისი პრაქტიკული ასპექტები გაძლიერდა

ინდიკატორები:

- ✓ რაოდენობა სკოლებისა, რომლებმაც დაამყარეს კავშირები (ვიზიტები, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები) ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- ✓ მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ზრდის ტენდენცია;
- ✓ მოსწავლეთა და მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მოხალისეებად მუშაობის ტენდენცია;
- ✓ თემზე დაფუძნებული განვითარებისთვის საბაზისო დაფინანსების გამოყოფის ტენდენცია;
- ✓ ადგილებზე სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმში მონაწილეობის ტენდენცია;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოს რეგიონებში ზრდიან თავიანთ შესაძლებლობებსა და დაფარვის არეალს

ინდიკატორები:

- ✓ რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ პოლიტიკის შესახებ დიალოგის ხარისხისა და ადვოკატირებაზე მიმართული საქმიანობის ზრდის ტენდენცია;
- ✓ ადგილობრივ ორგანიზაციებთან (მედია, ბიზნესი და ა. შ.) შეხვედრების გამართვის რეგულარულობა და სიხშირე;
- ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრ-თანამშრომელთა, მათი ტრენინგის შესაძლებლობების და წლიური როტაციის ტენდენცია;

მოსალოდნელი შედეგი: მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას ხდება ადგილობრივი აზრის გათვალისწინება

- სამოქალაქო საზოგადოების უნარი, ჩაერთოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის შესახებ დიალოგში განმტკიცდა

ინდიკატორები:

- ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებული საჭიროებებზე და მონაცემებზე დაფუძნებული ანგარიშების ხარისხი გაიზარდა;
- ✓ ხელისუფლება მხედველობაში იღებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებს;
- ✓ ტენდენცია საზოგადოების მიერ სამოქალაქო საზოგადოების აღქმისა;

- ხდება სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული და თემატური ქსელების მხარდაჭერა

ინდიკატორები:

- ✓ ფორმალურ და არაფორმალურ რეგიონულ და თემატურ ქსელებში მონაწილეობის ტენდენცია;
- ✓ ქსელები, რომელიც თავიანთ წევრებს შესაბამის მომსახურებას სთავაზობენ;
- ✓ ქსელები მონაწილეობენ პოლიტიკის შესახებ დიალოგში ხელისუფლებასთან და დონორებთან ერთად;

- ხდება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, ბიზნესსა და მედიას შორის პარტნიორობის მხარდაჭერა

ინდიკატორები:

- ✓ ერთობლივად ხდება ადგილებზე პროექტების შემუშავება მდგრადი განვითარების სასარგებლოდ;
- ✓ მიმდინარეობს რეგულარული დიალოგი პროცესში მონაწილეებს შორის;
- ✓ თემის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების წარმატებით გადაჭრის ტენდენცია;

- განვითარდა ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები, ჩაერთოს მონაწილეობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

ინდიკატორები:

- ✓ ადგილობრივი ხელისუფლება ეფექტიანად მართავს სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმს;
- ✓ ადგილობრივ ბიუჯეტებში ასახულია მოქალაქეების საჭიროებები;
- ✓ მოქალაქეთა საკონსულტაციო საბჭოები აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი განვითარებაზე მიმართულ სტრატეგიულ საქმიანობაში.

- ხდება სოციალური საწარმოს კონცეფციისა და გამოყენების ხელშეწყობა

ინდიკატორები:

- ✓ სოციალური საწარმოს კონცეფციის შესახებ ცოდნა გაიზარდა;
- ✓ გაიზარდა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელიც სოციალურ საწარმოს ეხმარება;
- ✓ გახსნილი სოციალური საწარმოების რაოდენობა;
- ✓ რაოდენობა „სახელმწიფო-კერძო“ პარტნიორობის ფორმით შექმნილი საწარმოებისა

4 ღონისძიებები

პრიორიტეტი 1
სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დიალოგი უფრო ინტენსიური გახდა და ჩართულობა გაუმჯობესდა
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none">✓ დიალოგში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა და მრავალფეროვნება იზრდება;✓ კონსულტაციების შედეგად შემუშავებული პოლიტიკისა და საკანონმდებლო პროექტების რაოდენობა და ხარისხი იზრდება; იზრდება, ასევე საკონსულტაციო საბჭოების რაოდენობა სხვადასხვა სამინისტროში;✓ მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები შექმნილია/ინსტიტუციონალიზებულია.
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის „მეფინგი“ და პოლიტიკის შესახებ დიალოგი 2014 წელს, რომელიც 2016 წელს უნდა გამეორდეს <i>პასუხისმგებელი:</i> ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის რეგიონული პროექტი „სამოქალაქო საზოგადოება, დიალოგი პროგრესისთვის“ წინამდებარე სტრატეგიით განსაზღვრული ინდიკატორების შესასრულებლად ჩატარდება საბაზისო baseline და საბოლოო endline წარმატებული „მეფინგის“ მისაღწევად. <i>პასუხისმგებელი:</i> „სამეზობლოს საინვესტიციო პაკეტი“ 2015-ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტი.
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
<i>ძირითადი მესიჯები:</i> საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება, პოლიტიკის შემუშავებაში მისი შინაარსიანი მონაწილეობის მიზნით; შესაბამისი მექანიზმების ინსტიტუციონალიზების გზით საქართველოს ხელისუფლებამ უკეთ უნდა შეძლოს კონსულტირების შესაძლებლობების წინასწარ განსაზღვრა საბიუჯეტო დახმარების ფარგლებში ევროკავშირმა უნდა წახალისოს საქართველოს მთავრობა სამოქალაქო საზოგადოების კონსულტირებისთვის და უზრუნველყოს მეტი მონიტორინგი; <i>საშუალებები:</i> პოლიტიკის სადისკუსიო ფორუმი, მაგალითად თანამშრომლობის საბჭო; ევროკავშირის დიალოგი ადამიანის უფლებებზე სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით; საბიუჯეტო დახმარების შემუშავების მექანიზმი სექტორული პროექტების განხორციელების გზით. <i>პასუხისმგებელი:</i> ევროკავშირის წარმომადგენლობა, ევროპის საგარეო სამსახური; ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, საქართველოს ეროვნული პლატფორმა

C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა

- 1) საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის სამდივნოს მხარდაჭერა
- 2) სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კონცეფციის შემდგომი დახვეწა სამოქალაქო საზოგადოებასა და პარლამენტს შორის ხელმოწერილი ურთიერგაგების მემორანდუმის თანახმად
- 3) საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის შესახებ დიალოგის წარმართვისთვის უნარების, ადვოკატირების, საზოგადოებასთან ურთიერთობების და კომუნიკაციის და მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევა

- 4) ევროინტეგრაციის ჩარჩოს ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკის შესახებ დიალოგში ჩართვა

შესაძლებლობები:

კომპონენტი 1 – პირდაპირი კონტრაქტი ENI 2015 ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში

კომპონენტი 2 და 4 ENI-ს პროგრამის , როგორც სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი კომპონენტებისთვის 2 და 4 და „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ (ENI)2015-ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში

კომპონენტი 4 – ადამიანის უფლებების და დემოკრატიის ინსტრუმენტი -EIDHR CBSS ჩართულობა ENI SCR-ის ფარგლებში

კომპონენტი 3 – შესაძლებლობების განვითარების პროგრამა ENI 2015 წლის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში

პასუხისმგებელი: ადგილობრივი ხელისუფლება, ევროკავშირის წარმომადგენლობა, ეროვნული პლატფორმა, საქართველოს ხელისუფლება, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

პრიორიტეტი 2
<ul style="list-style-type: none"> • სამოქალაქო საზოგადოების უნარი, ითანამშრომლის ევროკავშირთან და სხვა დონორებთან გაიზარდა;
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამების შემუშავებისას ევროკავშირი რეგულარულად ურთიერთობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ დონორთა საკონსულტაციო მექანიზმში და თავიანთ ცოდნას უზიარებენ; ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართულნი არიან ევროკავშირის პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
არ მიესადაგება
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
<p>სამოქალაქო საზოგადოების მთავარ წარმომადგენლებთან დისკუსიის წარმართვა დონორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლების ჩარჩოს ფარგლებში არსებული დიალოგის გასაგრძელებლად;</p> <p>პროგრამირების სფეროში კონსულტაციების ჩატარების მეტი ძალისხმევა საქართველოს რეგიონებში (და არამხოლოდ თბილისში)</p> <p>ევროკავშირის წარმომადგენლობა ყოველწლიურად გამოაქვეყნებს განრიგს, სადაც ასახული იქნება პროგრამირების ვადები და სამოქალაქო საზოგადოების მოსალოდნელი მონაწილეობა</p>
C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა
<p>1) საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება ევროკავშირის პროგრამირებისა და მონიტორინგის ღონისძიებებში უფრო ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;</p> <p><i>სამუალებები:</i></p> <p>შესაძლებლობების განვითარების პროგრამები „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ 2015-ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის და შერჩეული SCR-ის ფარგლებში</p>

პრიორიტეტი 3
<ul style="list-style-type: none"> • სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშვალდებულება გაიზარდა
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ ჩანს, რომ უფრო მეტ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია უკეთ მართოს თავის ორგანიზაცია; ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ დონორთა საკონსულტაციო მექანიზმში და თავიანთ ცოდნას უზიარებენ; ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართულნი არიან ევროკავშირის პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
არ მიესადაგება
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
<p>ევროკავშირის წარმომადგენლობა განაგრძობს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მექანიზმს და ამ მხარდაჭერის საუკეთესო მაგალითების განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან;</p> <p><i>საშუალებები:</i> კონსულტაციები, შეხვედრები;</p> <p><i>პასუხისმგებელი:</i> ევროკავშირის წარმომადგენლობა</p>
C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა
<p>1) საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება დემოკრატიული მმართველობის, საზოგადოების ინფორმირების, კომუნიკაციის, ანგარიშების სტრანდარების და ა. შ სფეროებში;</p> <p><i>საშუალებები:</i></p> <p>შესაძლებლობების განვითარების პროგრამები „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ (ENI) 2015 ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის და შერჩეული SCR-ის ფარგლებში</p> <p>EIDHR CBSS</p> <p><i>პასუხისმგებელი:</i> „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ ENI- ის კონტრაქტორი ორგანიზაცია, ეროვნული პლატფორმა, გრანტის მიმღები საზოგადოებრივი ორგანიზაციები</p>

პრიორიტეტი 4
<ul style="list-style-type: none"> • სამოქალაქო საზოგადოების უნარი, ითანამშრომლოს ევროკავშირთან და სხვა დონორებთან გაიზარდა;
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების (დაჯგუფებული მოცულობის, რეგიონის, თემატური სფეროს და ა. შ. მიხედვით) ტენდენცია; ✓ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესწევთ უნარი, წარმოადგინონ სტრატეგიული განვითარების გეგმები, რომელიც ფინანსების მოძიების სტრატეგიასაც მოიცავს; ✓ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო სექტრს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბების ტენდენცია; ✓ მდგრადი და შედეგზე ორიენტირებული კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების განხორციელების ტენდენცია კერძო სექტორში; ✓ მიღებულია საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მეტ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას, ჩაებას ეკონომიკურ საქმიანობაში; ✓ შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
არ მიესადაგება
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
<p>ფინანსთა სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებთან ურთიერთობა, რომ ევროკავშირის გრანტის მიმღებთა ქვეკონტრაქტორებს საგადასახადო შეღავათების უფლება აქვთ, მაგ. დღგ;</p> <p>საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმის ადვოკატირება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე;</p> <p>საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ადვოკატირება, რაც წახალისებს CSR და ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკურ აქტივობას;</p> <p>ევროკავშირის წარმომადგენლობა ყოველწლიურად გამოაქვეყნებს განრიგს, სადაც ასახული იქნება პროგრამირების ვადები და სამოქალაქო საზოგადოების მოსალოდნელი მონაწილეობა</p> <p><i>საშუალებები: ევროკავშირი-საქართველოს ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის მექანიზმები, მიმოწერა</i></p> <p><i>პასუხისმგებელი: ევროკავშირის წარმომადგენლობა, ევროკავშირის დახმარების სფეროში თანამშრომლობის ოფისი (DEVCO) მისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები</i></p>
C. დაფინანსება: პროგრამული მხრდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა

1) შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის დაფინანსების მოპოვებაში, საგადასახადო და ფინანსური მართვის საკითხებში.

საშუალებები:

შესაძლებლობების განვითარების პროგრამები „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ (ENI) 2015 ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის და შერჩეული SCR-ის ფარგლებში

პასუხისმგებელი: „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ ENI- ის კონტრაქტორი ორგანიზაცია

პრიორიტეტი 5

- სამოქალაქო განათლებას აქვს მხარდაჭერა და მისი პრაქტიკული ასპექტები გაძლიერდა ;

ინდიკატორები

- ✓ რაოდენობა სკოლებისა, რომლებმაც დაამყარეს კავშირები (ვიზიტები, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები) ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
 - ✓ მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ზრდის ტენდენცია;
 - ✓ მოსწავლეთა და მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მოხალისეობად მუშაობის ტენდენცია;
 - ✓ თემზე დაფუძნებული განვითარებისთვის საბაზისო დაფინანსების გამოყოფის ტენდენცია;
 - ✓ ადგილებზე სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმში მონაწილეობის ტენდენცია;

ღონისძიებები:

A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა

- ევროკავშირის სამოქალაქო განათლების სექტორში ჩართულობის შეფასება (მიმდინარეობს)
საშუალებები: ჩარჩო კონტრაქტები
პასუხისმგებელი: ევროკავშირის წარმომადგენლობა

B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა

არ მიესადაგება

C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა

- 1) კავშირების გამყარების მხარდაჭერა ადგილობრივ საზოგადოებრივი ორგანიზაციებსა და სკოლებს შრის ვიზიტების, მოხალისეთა პროგრამების და ახალგაზრდული ზაფხულის პროგრამების საშუალებით
- 2) ახალგაზრდობის ადგილობრივ აქტივობაში ჩართვის მხარდაჭერა ახალგაზრდული საბჭოების, ახალგაზრდული ბანკების წახალისების და ა. შ. საშუალებით
- 3) მცირე, თემზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა საწყისი (seed) დაფინანსების გამოყოფის საშუალებით, რომელსაც ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან ახალგაზრდული ბანკები განხორციელებენ

საშუალებები:

საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ადგილობრივი ხელისუფლების (CSO/LA) თემატური პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი

EIDHR CBSS

პასუხისმგებელი: ევროკავშირის წარმომადგენლობა, გრანტის მიმღები საზოგადოებრივი ორგანიზაციები

პრიორიტეტი 6
<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველო რეგიონებში ზრდიან თავიანთ შესაძლებლობებსა და დაფარვის არეალს;
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ პოლიტიკის შესახებ დიალოგის ხარისხისა და ადვოკატირებაზე მიმართული საქმიანობის ზრდის ტენდენცია; ✓ ადგილობრივ ორგანიზაციებთან (მედია, ბიზნესი და ა. შ.) შეხვედრების გამართვის რეგულარულობა და სიხშირე; ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრ-თანამშრომელთა, მათი ტრენინგის შესაძლებლობების და თანამშრომელთა წლიური როტაციის ტენდენცია;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
არ მიესადაგება
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
არ მიესადაგება
C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა
<p>1) გამოცდილების გაზიარებასა და სწავლებაზე ორიენტირებული (mentoring) ურთიერთობების ჩამოყალიბება თბილისში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და რეგიონულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ძლიერ რეგიონულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და CBO-ს შორის;</p> <p>2) რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის შესახებ დიალოგის, თანხების მოძიების, ორგანიზაციული შესაძლებლობების, ადვოკატირების და სხვ. სფეროებში</p> <p><i>საშუალებები:</i></p> <p>კომპონენტი 1 – საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ადგილობრივი ხელისუფლების (CSO/LA) თემატური პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი</p> <p>კომპონენტი 2 – შესაძლებლობების განვითარების პროგრამები „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ (ENI) 2015 ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში</p> <p><i>პასუხისმგებელი:</i> ევროკავშირის წარმომადგენლობა, გრანტის მიმღები საზოგადოებრივი ორგანიზაციები, „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ ENI- ის კონტრაქტორი ორგანიზაცია</p>

პრიორიტეტი 7
<ul style="list-style-type: none"> • სამოქალაქო საზოგადოების უნარი, ჩაერთოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის შესახებ დიალოგში განმტკიცდა;
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საჭიროებსა და მონაცემებზე დამყარებული ანგარიშების მომზადების ხარისხი გაუმჯობესდა; ✓ ხელისუფლება მხედველობაში იღებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებს; ✓ საზოგადოების მიერ სამოქალაქო საზოგადოების აღქმის ტენდენცია;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
<p>მონაწილეთა როლების „მეფინგი“ (მიმდინარეობს)</p> <p>საშუალებები: ENPI პროექტი „სამოქალაქო საზოგადოება – დიალოგი პროგრესისთვის“</p>
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
არ მიესადაგება
C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა
<p>1) პოლიტიკის სფეროში დიალოგის წარმართვის უნარის განვითარებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევა</p> <p><i>საშუალებები:</i> შესაძლებლობების გაზრდა „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ ENI- ის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში</p> <p><i>პასუხისმგებელი:</i> „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ ENI- ის კონტრაქტორი ორგანიზაცია</p>

პრიორიტეტი 8
ხდება სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული და თემატური ქსელების მხარდაჭერა;
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ ფორმალურ და არაფორმალურ რეგიონულ და თემატურ ქსელებში მონაწილეობის ტენდენცია; ✓ ქსელები, რომელიც თავიანთ წევრებს შესაბამის მომსახურებას სთავაზობენ; ✓ ქსელები მონაწილეობენ პოლიტიკის შესახებ დიალოგში ხელისუფლებასთან და დონორებთან ერთად;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
არ მიესადაგება
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
არ მიესადაგება
C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა
<p>1) არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან შემდგარი ქსელებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა და მათი შესაძლებლობების გაზრდა;</p> <p>2) რეგიონულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლების და ცოდნის გაცვლა</p> <p><i>საშუალებები:</i></p> <p>„სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ ENI 2015–ის სექტორული რეფორმის კონტრაქტის სახელმწიფო ადმინისტრაციის რეფორმის ნაწილი</p> <p>საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ადგილობრივი ხელისუფლების (CSO/LA) თემატური პროგრამა</p> <p><i>პასუხისმგებელი:</i></p> <p>ევროკავშირის წარმომადგენლობა, ENI-ის კონტრაქტორი ორგანიზაცია, რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელები.</p>

პრიორიტეტი 9
ხდება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, ბიზნესსა და მედიას შორის პარტნიორობის მხარდაჭერა;
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ ერთობლივად ხდება ადგილებზე პროექტების შემუშავება მდგრადი განვითარების სასარგებლოდ; ✓ მიმდინარეობს რეგულარული დიალოგი პროცესში მონაწილეებს შორის; ✓ თემის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების წარმატებით გადაჭრის ტენდენცია;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
არ მიესადაგება
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
არ მიესადაგება
C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა
<p>1) ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის ხელშეწყობა, ბიზნესის ჩათვლით;</p> <p>2) დიალოგის გამარტივება საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის, შესაძლოა საქართველოს თვითმმართველობის ნაციონალური ასოციაციის საშუალებით;</p> <p>3) ადგილებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა, მათ შორის საბიუჯეტო საკითხებში;</p> <p>4) ცნობიერების ამაღლება რეგიონებში ბევრი მონაწილისგან შემდგარი პარტნიორობის უპირატესობის შესახებ;</p> <p><i>საშუალებები:</i></p> <p>კონკურსი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის და ადგილობრივი ხელისუფლების თემატური პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსი</p> <p><i>პასუხისმგებელი:</i> ევროკავშირის წარმომადგენლობა, საქართველოს თვითმმართველობის ნაციონალური ასოციაცია, ადგილობრივი ხელისუფლება, გრანტის მიმღები საზოგადოებრივი ორგანიზაციები.</p>

პრიორიტეტი 10
განვითარდა ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები, ჩაერთოს მონაწილეობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ✓ ადგილობრივი ხელისუფლება ეფექტიანად მართავს სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმს; ✓ ადგილობრივ ბიუჯეტებში ასახულია მოქალაქეების საჭიროებები; ✓ მოქალაქეთა საკონსულტაციო საბჭოები აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიულ საქმიანობაში;
ღონისძიებები:
A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა
არ მიესადაგება
B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა
არ მიესადაგება
C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა
<p>1) ახალი კურიკულუმის შემუშავება სახელმწიფო ადმინისტრაციის სასწავლო დაწესებულებებში ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ისეთ საკითხებში, როგორცაა სამოქალაქო ჩართულობა და ა.შ.</p> <p>2) ტრენერების ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება სახელმწიფო ადმინისტრაციის სასწავლო დაწესებულებებში;</p> <p>3) მოქალაქეთა ადვოკატირების საბჭოების მხარდაჭერა, შესაძლებლობების განვითარებისა და ბიუჯეტის გამჭვირვალების ჩათვლით</p> <p><i>საშუალებები:</i></p> <p>კომპონენტები 1 და 2: ტექნიკური დახმარების კომპონენტი „სამეზობლო საინვესტიციო პაკეტი“ ENI-ს 2015 სახელმწიფო ადმინისტრაციის SCR</p> <p>კომპონენტი 3 – საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ადგილობრივი ხელისუფლების (CSO/LA) თემატური პროგრამა</p> <p>პასუხისმგებელი, ევროკავშირის წარმომადგენლობა, გრანტის მიმღები საზოგადოებრივი ორგანიზაციები</p>

პრიორიტეტი 11

ხდება სოციალური საწარმოს კონცეფციისა და გამოყენების ხელშეწყობა;

ინდიკატორები

- ✓ სოციალური საწარმოს კონცეფციის შესახებ ცოდნა გაიზარდა;
- ✓ გაიზარდა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელიც სოციალურ საწარმოს ეხმარება;
- ✓ გახსნილი სოციალური საწარმოების რაოდენობა;
- ✓ რაოდენობა „სახელმწიფო-კერძო“ პარტნიორობის ფორმით შექმნილი საწარმოებისა

ღონისძიებები:

A. ანალიზი: კვლევები, „მეფინგი“ და შესწავლა

არ მიესადაგება

B. დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, კონსულტაცია და ხელშეწყობა

- 1) პოლიტიკის საკითხებში დიალოგი, რომელიც ხელს უწყობს სოციალური საწარმოს (როგორც მომგებიანი, ისე არამომგებიანი) მოდელის შემდგომ, საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ჩათვლით
- 2) პოლიტიკის საკითხებში დიალოგი ადგილობრივ ხელისუფლებასთან „სახელმწიფო-კერძო“ პარტნიორობის მოდელის გამოყენების შესახებ

C. დაფინანსება: პროგრამული მხარდაჭერა და მონაწილეობის უზრუნველყოფა

- 1) საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან შემდგარი სოციალური საწარმოების კოალიციის მხარდაჭერა;
- 2) ცალკეული პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ხელს უწყობს თემში სოციალური საწარმოების განვითარებას;

სამუშაოები:

კომპონენტი 1 – პირდაპირი (კონკურსის გარეშე) კონტრაქტი საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ადგილობრივი ხელისუფლების (CSO/LA) თემატური პროგრამის ფარგლებში

კომპონენტი 2 – ორგანიზაციების/ადგილობრივი ხელისუფლების (CSO/LA) თემატური პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგარნტო კონკურსი და სინერჯია პროგრამებთან ENPARD და VET SCR

პასუხისმგებელი: ევროკავშირის წარმომადგენლობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან შემდგარი სოციალური საწარმოების კოალიცია, გრანტის მიმღები საზოგადოებრივი ორგანიზაციები

<i>ქვეყანა:</i>		
პროცესი		
სფერო	ინდიკატორი	მიღწეული შედეგი
ევროკავშირის წევრი ქვეყნების ჩართულობა სტრატეგიის შემუშავებაში	ქვეყანაში წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი სტრატეგიის შემუშავებაში	არის 15 წარმოდგენილი ქვეყნიდან ორი აქტიურადაა ჩართული
კონსულტაციები ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან	სტრატეგია შემუშავდა ადგილობრივისა ზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრთან კონსულტაციების საფუძველზე; დაცული იყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, დროულად წინასწარი შეტყობინების პრინციპები, მკაფიოდ განისაზღვრა უკუკავშირისა და ინფორმაციის შემდგომი გადამოწმების მექანიზმები.	მიმდინარეობს ჩატარდა 2 კონსულტაცია თბილისში ჩატარდა 3 რეგიონული კონსულტაცია ჩატარდა 2 ვებკონსულტაცია ჩატარდა 1 მრგვალი მაგიდა ინდიკატორებზე ჩატარდა 3 ჯგუფური შეხვედრა (მთავარი ორგანიზაციების მონაწილეებით) 30 ორმხრივი შეხვედრა
ერთობლივი ღონისძიებები	ქვეყანაში წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი სტრატეგიის პრიორიტეტების განხორციელებაში	მიმდინარეობს, თუმცა ცალკე, არა ევროკავშირთან ერთად
შედეგები		
პრიორიტეტი	ინდიკატორი	მიღწეული შედეგი
სამოქალაქო საზოგადოების უნარი, ითანამშრომლოს ევროკავშირთან და სხვა დონორებთან გაიზარდა	პროგრამების შემუშავებისას ევროკავშირი რეგულარულად ურთიერთობს საზოგადოებრივ	

	<p>ორგანიზაციებთან;</p> <p>საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ დონორთა საკონსულტაციო მექანიზმში და თავიანთ ცოდნას უზიარებენ;</p> <p>საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართულნი არიან ევროკავშირის პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;</p>	
<p>სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშვალდებულება გაიზარდა</p>	<p>უფრო მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა შიდა მმართველობა;</p> <p>საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაზღვრეს მთავარი სამიზნე ჯგუფები და რეგულარულად აბარებენ მათ ანგარიშს;</p> <p>საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელს უწყობენ სამიზნე ჯგუფების მონაწილეობას მათი საქმიანობის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;</p>	
<p>სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური მდგრადობა განმტკიცდა</p>	<p>საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების (დაჯგუფებული მოცულობის, რეგიონის, თემატური სფეროს და ა. შ. მიხედვით) ტენდენცია;</p> <p>საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესწევთ უნარი, წარმოადგინონ</p>	

	<p>სტრატეგიული განვითარების გეგმები, რომელიც ფინანსების მოძიების სტრატეგიასაც მოიცავს;</p> <p>საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბების ტენდენცია;</p> <p>მდგრადი და შედეგზე ორიენტირებული კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების განხორციელების ტენდენცია კერძო სექტორში;</p> <p>მიღებულია საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მეტ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას, ჩაებას ეკონომიკურ საქმიანობაში;</p> <p>შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;</p>	
<p>სამოქალაქო განათლებას აქვს მხარდაჭერა და მისი პრაქტიკული ასპექტები გამლიერდა</p>	<p>რაოდენობა სკოლებისა, რომლებმაც დაამყარეს კავშირები (ვიზიტები, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები) ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;</p> <p>მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ზრდის ტენდენცია;</p> <p>მოსწავლეთა და მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან</p>	

	<p>მოხალისეებად მუშაობის ტენდენცია;</p> <p>თემზე დაფუძნებული განვითარებისთვის საბაზისო დაფინანსების გამოყოფის ტენდენცია;</p> <p>ადგილებზე სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმში მონაწილეობის ტენდენცია;</p>	
<p>საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველო რეგიონებში ზრდიან თავიანთ შესაძლებლობებსა და დაფარვის არეალს</p>	<p>რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ პოლიტიკის შესახებ დიალოგის ხარისხისა და ადვოკატირებაზე მიმართული საქმიანობის ზრდის ტენდენცია;</p> <p>ადგილობრივ ორგანიზაციებთან (მედია, ბიზნესი და ა. შ.) შეხვედრების გამართვის რეგულარულობა და სიხშირე;</p> <p>საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრ-თანამშრომელთა, მათი ტრენინგის შეძლებლობების და წლიური როტაციის ტენდენცია;</p>	
<p>სამოქალაქო საზოგადოების უნარი, ჩაერთოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის შესახებ დიალოგში განმტკიცდა</p>	<p>საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებული, საჭიროებებზე და მონაცემებზე დაფუძნებული ანგარიშების ხარისხი გაიზარდა;</p> <p>ხელისუფლება მხედველობაში იღებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებს;</p> <p>ტენდენცია საზოგადოების</p>	

	მიერ სამოქალაქო საზოგადოების აღქმისა;	
ხდება სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული და თემატური ქსელების მხარდაჭერა	ფორმალურ და არაფორმალურ რეგიონულ და თემატურ ქსელებში მონაწილეობის ტენდენცია; ქსელები, რომელიც თავიდან წევრებს შესაბამის მომსახურებას სთავაზობენ; ქსელები მონაწილეობენ პოლიტიკის შესახებ დიალოგში ხელისუფლებასთან და დონორებთან ერთად;	
ხდება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, ბიზნესსა და მედიას შორის პარტნირობის მხარდაჭერა	ერთობლივად ხდება ადგილებზე პროექტების შემუშავება მდგრადი განვითარების სასარგებლოდ; მიმდინარეობს რეგულარული დიალოგი პრცესის მონაწილეებს შორის; თემის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების წარმატებით გადაჭრის ტენდენცია;	
განვითარდა ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები, ჩაერთოს მონაწილეობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში	ადგილობრივი ხელისუფლება ეფექტიანად მართავს სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმს; ადგილობრივ ბიუჯეტებში ასახულია მოქალაქეების საჭიროებები; მოქალაქეთა საკონსულტაციო საბჭოები აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიულ საქმიანობაში.	
ხდება სოციალური საწარმოს კონცეფციისა და გამოყენების	სოციალური საწარმოს კონცეფციის შესახებ ცოდნა	

ხელშეწყობა	<p>გაიზარდა;</p> <p>გაიზარდა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელიც სოციალურ საწარმოს ეხმარება;</p> <p>გახსნილი სოციალური საწარმოების რაოდენობა;</p> <p>რაოდენობა „სახელმწიფო-კერძო“ პარტნიორობის ფორმით შექმნილი საწარმოებისა</p>	
------------	---	--

6 მონიტორინგი და შეფასება

წინამდებარე დკუმენტის მომზადების პროცესში შეიქმნა მთავარი მონაწილეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფის მიზანი იყო პროცესის წარმართვა, კონსულტირება და – შესაძლებლობების ფარგლებში – პრაქტიკული დახმარების მიწოდება. სასურველია, რომ ჯგუფის მხრიდან სტრატეგიის მიმართ გამოჩენილი ინტერესი შენარჩუნდეს, რადგან სწორედ მან იცის, თუ რა ედო საფუძვლად სტრატეგიის შექმნას და რა მიზნებს ისახავს ის. ამიტომ, სამუშაო ჯგუფი მუშაობას გააგრძელებს და მონიტორინგს გაუწევს სტრატეგიის განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით შეიკრიბება ის სულ მცირე წელიწადში ორჯერ.

იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრი მონაწილეობდა, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა სტრატეგიაში გათვალისწინებული ღონისძიებების შუალედური შედეგების განხილვის მიზნით.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დასახმარებლად სტრატეგიაში 45 ინდიკატორი იქნა შეტანილი. მოსალოდნელია, რომ ეს ინდიკატორები უფრო დეტალურად გაიწერება და პროექტების დონეზე ექვემდებარება დაიყოფა. იმის შეფასება, რამდენად შესრულდა ესა თუ ის ინდიკატორი, უნდა ჩატარდეს საბაზისო (baseline) და საბოლოო (end-line) კვლევები, რაც სტრატეგიითაა გათვალისწინებული.